



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავით XI

დავით XI და აუგუსტინი, ქართლის ხანი (ზოგიერთი ქართ. წყაროს მიხედვით, ქართლის მეფე) 1569-78, ლუარსაბ I-ის ძე.

დ. XI-მ უღალატა ძმას – სიმონ I-ს და თავის მომხრე ქვემო ქართლის თავადებთან (ბარათაშვილებთან) ერთად 1561 ირანს გაემგზავრა და შაპ-თამაზ I-ს ეახლა ყაზვინს. იგი გაამაჰმადიანეს, ვასალობის რაყამი უბოძეს, ქართლის ხანად დანიშნეს (1562) და ყიზილბაშთა ჯარით საქართველოში გამოგზავნეს.

დ. XI განაგებდა მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლს, რიც ამ დროს ირანს ეპყრა. დანარჩენი ქართლი სიმონ I-ს ემორჩილებოდა. მას ფეოდალთა დიდი ნაწილი ერთგულობდა. ქართლში „ორიანობა“ (ორმეფობა) დამყარდა. დ. XI-მ 1569 ფარცხისის ბრძოლაში ყიზილბაშთა დახმარებით სიმონი დაამარცხა და ქართლის ერთადერთი მმართველი გახდა.

დატყვევებული სიმონი ირანში გაგზავნეს, მაგრამ თავადთა უმეტესობა, საჩინო ბარათაშვილის მეთაურობით, კვლავ განაგრძობდა დ. XI-ისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას. დ. XI წელიწადში 20000 დუკატს უხდიდა ირანს ხარკად.

1578, როცა ოსმალეთის დიდი არმია მუსტაფა ლალაფაშას მეთაურობით საქართველოში შემოიჭრა, დ. XI-მ თბილისი გადაწვა და თავი ლორეს შეაფარა. ოსმალებმა ქართლი საფაშოდ გამოაცხადეს და თბილისში ფაშა დასვეს.

1578 ირან. მთავრობამ სიმონ I ტყვეობიდან გაათავისუფლა და ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართლში დააბრუნა. დ. XI-მ ციხეები ოსმალთა სარდალს გადასცა, თვითონ კი სტამბოლში წავიდა, სადაც პატივით მიიღეს და სარჩოდ ორი სანჯაყი უბოძეს. დ. XI-ის ვაჟებმაც, ბაგრატმა და ხოსრომ, კახეთს შეაფარეს თავი, შემდეგ კი ირანში წავიდნენ.

დ. XI-მ ოსმალეთში რამდენიმე წელი დაყო და იქვე გარდაიცვალა.

ოსმალეთში ყოფნის დროს ორი ოსმალური კარაბადინისგან შეადგინა ერთი ქართ. საექიმო წიგნი – „იადიგარ დაუდი“ და საქართველოში გამოგზავნა.

თხზ.: იადიგარ დაუდი, ლ. კოტეტიშვილის გამოც., თბ., 1985.

წყარო: გორგიჭანძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ჰასანრუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1966.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 6, თბ., 1973; გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI- XVII საუკუნეებში, თბ., 1958; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967.

გ. ჭამბურია